

## მე-4 კლასი

### სავარჯიშო 1. ტექსტის გააზრება - ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს: (30 ქულა)

#### ლომი და თავგი

ერთხელ ლომს თავის ბუნაგში ეძინა, როდესაც მის კუდზე ერთი პატარა თავგი აძვრა და შემდეგ თავზე დაახტა... ლომს გაეღვიძა და თავგის საქციელის გამო საშინლად გაბრაზდა.

– როგორ ბედავ ნადირთა მეფის გაღვიძებას! – დაუღრიალა მან თავგს. ყველა, ვინც მე მაწუხებს, სიკვდილს იმსახურებს, ახლა შემომღია შეგჭამო და მოგკლა.

შიშისაგან აკანკალებული თავგი მეფეს შეეხვეწა:

– გთხოვთ, არ მომკლათ, თქვენო ბრწყინვალეზავ, სულაც არ მსურდა გამეღვიძებინეთ, ჩემდა უნებურად მომივიდა. გთხოვთ, გამიშვათ და გპირდებით, რომ მუდამ თქვენი ერთგული მეგობარი ვიქნები. ვინ იცის და იქნებ ერთხელ რაიმეშიც კი გამოგადგეთ...

ლომს თავგის ბოლო სიტყვებზე გაეცინა.

– რა სულელური აზრია, მაგრამ გაგიმართლა, რომ გამაცინე და კარგ ხასიათზე მოვედი.

– წადი, გიშვებ! – თათი გააქნია ლომმა თანხმობის ნიშნად და თავგიც სწრაფად გაეცალა იქაურობას.

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. ერთ ჩვეულებრივ დღეს, როდესაც ლომი ტყეში მისეირნობდა, მონადირეთა მახეში გაება. თავისუფლების მოყვარული ლომი თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ რაც უფრო ცდილობდა, მით უფრო მეტად იხლართებოდა ხაფანგის თოკებში და უმატებდა ღრიალს. მთელს ტყეს აყრუებდა განწირული ლომის ხმა და ყველა ცხოველს ესმოდა, პატარა თავგის ჩათვლით.

– ჩემი მეგობარი ლომი საფრთხეშია, – გაიფიქრა თავგმა და სასწრაფოდ იმ ადგილისაკენ გაემშურა, საიდანაც ხმა მოდიოდა.

– დამშვიდდით, თქვენო ბრწყინვალეზავ, სულ რამდენიმე წუთში გაგათავისუფლებთ, – უთხრა მან ლომს, როდესაც ხაფანგთან მივიდა და თავისი პატარა კბილებით თოკის გადაჭრა დაიწყო.

მართლაც, ძალიან ცოტა ხანში ლომმა ხაფანგის თოკებისაგან თავი დაიხსნა.

– მართლა არ მჯეროდა, რომ რაიმეს გაკეთება შეგეძლო ჩემთვის! – უთხრა მადლიერმა ლომმა თავგს. თუმცა შენ დღეს ჩემი სიცოცხლე იხსენი და ახლა, უბრალოდ, არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი მადლიერება...

– არაფერია, მე ვალდებული ვიყავი დაეხმარებოდი მეგობარს! – უპასუხა თავგმა ლომს.

1. რატომ გაბრაზდა ლომი?

ა. თავგი მის კუდზე აძვრა და გააღვიძა.

ბ. მშიერი იყო და საჭმელს ვერ პოულობდა.

გ. მეგობარ თავგს დაემუბდა.

2. ვის უწოდებს ავტორი „ნადირთა მეფეს“?

ა. თავგს

ბ. ლომს

გ. მონადირეებს

3. რა აღუთქვა თავგმა ლომს?

ა. მისი მეგობარი იქნებოდა და გასაჭირში დაეხმარებოდა.

ბ. ტყის სხვა ცხოველებს გააცნობდა.

გ. ტყის სხვა ცხოველებს მოუყვებოდა ლომის გაცნობის ამბავს.

4. რატომ გაეცინა ლომს?

ა. ფიქრობდა, თავგის დახმარება მართლაც დასჭირდებოდა.

ბ. ფიქრობდა, სხვები დასცინებდნენ ამ ამბავს რომ გაიგებდნენ.

გ. ფიქრობდა, თავგი ვერასდროს შეძლებდა მის დახმარებას.

5. რამ იხსნა თავგი ლომის რისხვისაგან?

ა. ლომს არ გაეღვიძა.

ბ. ლომი გააცინა, კარგ ხასიათზე დააყენა.

გ. თავგი სწრაფად გაიქცა, ლომმა მისი დანახვაც ვერ მოასწრო.

6. რას უწოდებს ავტორი ლომს?

ა. მშიშარას

ბ. უმადურს

გ. თავისუფლების მოყვარულს



